

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

თათია ცეცხლაძე

აკა მორჩილადის „მადათოვის“ ციკლის მოთხრობების
დისკურსის თავისებურებანი
სპეციალობა - ლინგვისტიკა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნ. ცეცხლაძე

ბათუმი - 2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნანა ცეცხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შემფასებლები:

მამია ფალავა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათია ფარტენაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თალიკო ბერიძე - ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა – ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნ. ფარტენაძე

შესავალი

„დისკურსი“ (ლათ. Discursus– აქეთ-იქით სირბილი, საუბარი, ლაპარაკი, ფრანგ. Discours– მეტყველება) პოლისემიური ტერმინია. იგი ფრანგმა ენათმეცნიერმა ემილ ბენვენისტმა შემოიღო. ის მასში გულისხმობდა „სუბიექტურობის მაღალი ხარისხით გამორჩეულ მეტყველებას, ენას, რომელსაც ინტერსუბიექტურობის პირობებში იყენებს მეტყველი“ (Benveniste, 1966).

დისკურსი გარკვეული დისკურსული „პრაქტიკების განხორციელებაა“ (მ. ფუკო). ის შეპირობებულია ექსტრალინგვისტურ-პრაგმატიკული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორებით. ეს არის მეტყველება, რომელშიც განხილულია სოციალურ ქმედებასთან ადამიანისა და მისი ცნობიერების ურთიერთკავშირი“ (Арутюнова, 1999). ვინაიდან დისკურსი ენობრივი და ფართო სოციალური მოვლენაა, არსებობს ყოველდღიური, მხატვრული, ჟურნალისტური, პოლიტიკური, სამედიცინო და ა.შ. დისკურსები.

ტექსტს და დისკურსს გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ევროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იყენებდნენ. ტ. ა. ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლამ კი გამიჯნა ისინი (Дејк, 1989). დისკურსი ენის ფუნქციონირებაა რეალურ დროში, ზეპირი ან წერილობითია; ტექსტი კი წერილობითი, ფიქსირებული მასალაა. ეს უკანასკნელი ენის დონეს განეკუთვნება, დისკურსი – მის გამოყენებას. ტექსტისა და დისკურსის განმასხვავებელი ნიშნებია: ინფორმაციულობა, კოჰეზიურობა, მიზნობრიობა, დასრულებულობა, გამოკვეთილობა (Кибрик, 2003).

სოციოკულტურული ჯგუფის ან ეპოქის განსხვავებულობის, პოლიჟან-რულობის და პოლიპარადიგმატულობის გამო დისკურსის ზუსტი განმარტება და მისი საკვლევი კონკრეტული მეთოდი არ არსებობს. მას შეისწავლიან ინტერდისციპლინურად. მის კვლევას ართულებს ფუნქციურ სტილთა და ჟანრთა მრავალფეროვნებაც (დოხტურიშვილი, 2004).

პოსტმოდერნიზმის დისკურსი საკმაოდ რთული ლინგვოკულტუროლოგიური მოვლენაა. ჩვენი მიზანია ყველაზე პოპულარული ქართველი პოსტმოდერნისტი მწერლის –აკა მორჩილაძის (გიორგი ახვლედიანის) „მადათოვის“ ციკლის მოთხრობების დისკურსის თავისებურებებთან შესწავლა.

ნაშრომის აქტუალურობა. ტრილოგია „მადათოვის“ („გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „გაქრები მადათოვზე“, „ვეშაპი მადათოვზე“) დისკურსის თავისებურებანი და მათი განმაპირობებელი ფაქტორები გამოუკვლეველია.

კვლევის მიზანია ბესტსელერის დისკურსის გრამატიკულ, ლექსიკურ, სტილურ და მხატვრულ თავისებურებათა ანალიზი; მის განმსაზღვრელ ფაქტორთა კვლევა; მისი, როგორც ერთი მთლიანი სოციალური პერფორმატივის, წარმოდგენა, გარკვევა იმისა, რა ტექსტების მთლიანობაა ტრილოგია, როგორ და რა მიზნით არის ორგანიზებული; რა განაპირობებს მის ენობრივსა და მხატვრულ თავისებურებებს.

კვლევის მეთოდოლოგია. გამოყენებულია დისკურსანალიზის მეთოდი, რომელიც აერთიანებს ლინგვისტურ, სემიოტიკურ, სტრუქტურულ, ტექსტობრივ, სოციოკულტურულ და სოციოკოგნიტურ ანალიზს.

სამეცნიერო სიახლე. აკა მორჩილაძის „მადათოვის“ ციკლის მოთხრობების ენა, მისი დისკურსის შემაპირობებელი ფაქტორები შეუსწავლელია; საკითხის ანალიზმა უნდა გამოავლინოს, რამ განაპირობა მისი პოპულარულობა: თემატიკამ, ენობრივ და მხატვრულ საშუალებათა არჩევამ თუ ორივემ ერთად. ამგვარი კვლევით გამოჩნდება აკა მორჩილაძის სამწერლო ენის თავისებურებანი, საკუთრივ ტრილოგიის სპეციფიკა და მისი შემადგენელი ცალკეული ნაწარმოების თავისებურებანიც.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს პოსტმოდერნისტული დისკურსის არსებითი თავისებურებების, მხატვრული დისკურსის ანალიზის, მწერლის იდიოსტილის თეორიული საფუძვლების სრულყოფა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. მოცემული შრომა საინტერესოა დისკურსოლოგიის, სოციო-, ფსიქო- და ლინგვისტილისტიკის და ლინგვოპრაგმატიკის თვალსაზრისით. ის შეავსებს ქართული პოსტმოდერნისტული დისკურსის შესახებ ცოდნას, გამოკვეთს მწერლის ენის თავისებურებებს, იდიოსტილს.

ნაშრომის სტრუქტურა. შესავალში დასაბუთებულია ჩვენი საკვლევი თემის სიახლე და აქტუალურობა, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და დაზუსტებულია საკვლევი ემპირიული მასალა; ჩამოყალიბებულია კვლევის მეთოდოლოგია, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში გადმოცემულია პოსტმოდერნიზმის გენეზისი და **პოსტმოდერ-
ნისტული დისკურსის თავისებურებანი**. მეორე თავი მოიცავს ტრილოგია
„მადათოვის“ ენობრივ თავისებურებათა ანალიზს; **მესამე თავი** – ლექსიკურსა და
სტილურს, მათს პრაგმატიკულ დანიშნულებასა და ლინგვოკოგნიტურ საფუძვლებს.
მეოთხე თავში მოცემულია მხატვრულ თავისებურებათა სტილისტიკური
ფუნქციები. დასკვნაში წარმოდგენილია კვლევის შემაჯამებელი დებულებანი.

თავი I. პოსტმოდერნისტული დისკურსის თავისებურებანი

I.1. პოსტმოდერნიზმის გენეზისი

პოსტმოდერნიზმი 1946 წლიდან მოყოლებული გამოიყენება ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტუროლოგიაში. იგი ზოგადკულტუროლოგიური მოვლენაა. ყველაზე პოსტმოდერნისტული ქვეყანა იაპონიაა. მის წარმოშობას უკავშირებენ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ კრიზისს (საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, 1989 წლის 9 აპრილი). არსებობს თვალსაზრისი, რომ ის ჩვენთან XX საუკუნის 60-იან წლებში დაფიქსირდა. უმრავლესობის აზრით, იგი რუსული მმართველობის პერიოდში ჩაისახა. ამასთან, ქართული პოსტმოდერნიზმი კი არც მთლად ევროპულია და არც მთლად ქართულ ნიადაგზე ბუნებრივად აღმოცენებული სკოლა (იმნაიშვილი, 2010).

პოსტმოდერნიზმის, როგორც სიახლის, შესწავლისადმი ლიტერატურული კრიტიკა სიფრთხილეს იჩენდა, ისინი არც ენათმეცნიერული კვლევის საგანი გამხდარა. აკა მორჩილაძის შემოქმედება ამიტომაც აღძრავს ინტერესს.

ტრილოგიის ერთ-ერთი რომანის – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ შესახებ წერენ, რომ ის მეტატექსტია და XX საუკუნის ყველაზე საუცხოო ქართულ მხატვრულ ნაწარმოებად ითვლება. „რომანი თავისი ფორმით და შინაარსით ერთდროულად არის ნოვატორულიც და ტრადიციულიც, კომიკურიც და ტრაგიკულიც, ძველიც და ახალიც, ღრმაც და ზედაპირულიც“ (იმნაიშვილი, იქვე). ტრილოგიის სხვა ნაწარმოებები უფრო ნაკლებადაა შესწავლილი.

1.2. პოსტმოდერნისტული დისკურსის მახასიათებლები

პოსტმოდერნიზმის ნიშნებია: დეკანონიზაცია, ირონია, ჰიბრიდულობა, კარნავალიზაცია, დეკონსტრუქცია და ზოგადად, პოსტმოდერნისტული მხატვრული გამომსახველობა (Хасан, 2017).

ა) პოსტმოდერნიზმში **დისკურსი ფრაგმენტირებულია**, დარღვეულია მოქმედებათა ლოგიკური მდინარება, მხატვრული მთლიანობა არაა სავალდებულო.

ბ) ნიშანდობლივია **პაროდირება, ირონია, პასტიში**. „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ რეტრორეალიზმის ნიმუშია, ანუ ეს არის პოსტმოდერნისტული ირონია თვით პოსტმოდერნიზმზე.

გ) **ორმაგი კოდირება**: ორი განსხვავებული, შეუსაბამო ენობრივი კოდის (უფართოესი გაგებით), დისკურსის, სტილისტიკის თანხვედრა და შერწყმა, კოლაჟი, ენობრივი კარნავალი, სადაც მწიგნობრული და სასაუბრო სტილის, სალიტერატურო და დიალექტური ფორმების თანაარსებობა, სტილებისა და ჟანრების განურჩევლობაა.

პოსტსაბჭოთა საქართველო ორმაგად კოდირებული ქვეყანაა. აკა მორჩილაძე არის ავტორიც, მთხზველიც, მოკალმეც, ისტორიკოსიც, ლექტორიც და სპორტის მიმომხილველ-ჟურნალისტიც. მისი მხატვრული ნაწარმოები ხდება მისაღები როგორც მასობრივი მომხმარებლისთვის, ისე ელიტარულისთვის...“ (ბერეკაშვილი, 2010). აქ შერწყმულია ნოვატორულიც და ტრადიციულიც.

დ) **ინტერტექსტუალურობა**: სხვა ტექსტების ხელახალი წაკითხვა. ტრილოგია ავტორების (ი. გრიშაშვილის, ჭ. ამირეჯიბის, ჰამსუნის, ი. ჭავჭავაძის და ა.შ.), სხვისი ტექსტების პაროდირებას წარმოადგენს.

თავი II. ტრილოგია „მადათოვის“ ენობრივი თავისებურებანი

II.1. ფონეტიკური თავისებურებანი

მოცემულ თავში განხილულია ტრილოგია „მადათოვის“ ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თავისებურებები და მათი გამომწვევი ფაქტორები: მწიგნობრული სტილია დომინანტი (ძველი, ახალი) თუ სასაუბრო.

ა) ხმარებიდან გასული ასოები

„მადათოვის“ ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით **ფ**-ს, დამავალ დიფთონგს: **დაფ**. დასტურდება მისი გასრულხმოვანების ნიმუშიც: **თხლაშოი**. ნათარგმნ ლექსში ი- ხმოვანზე გათავებულ საკუთარ სახელთან გვხვდება **ფ**: ანაბელ **ლიფ**; ანაბელ **ლიფს**, რაც უჩვეულოა. მწერალი ვირტუალურ ქალაქს ხმარებიდან გასულ ასოს არქმევს: ქალაქი **ჭ**.

ბ) ტრილოგია „მადათოვის“ დისკურსის ფონეტიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს სასაუბრო სტილი. განვიხილოთ მისთვის ნიშანდობლივი მოვლენა– **ბგერის დაკარგვა**, ხშირია პერსონაჟთა მეტყველებაში: **მახჩობელა, მომაბბანეს, უზდელური, აქს, მაქს**. რომანში „ვეშაპი მადათოვზე“ ერთი და იმავე პერსონაჟის მეტყველებაში, ერთ წინადადებაში გვაქვს ორივენაირი ფორმა: **გმელი//გრძელი, გვაქვს// გვაქს**.

ავტორისეულ მეტყველებაში ორმაგი კოდირება ხშირად გვაქვს: **წამოზდილი// მოზდილი; ახალგაზდა//ახალგაზრდა; რომ/ რო** (ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება).

გ) **ბგერის ჩართვა** ძირითადად პერსონაჟების, იშვიათად კი ავტორისეულ მეტყველებაში გვხვდება: **დაახლოვებით; უნახავობა, ასაზრდოვებს**.

დ) **მეტათეზისი** ტრილოგია „მადათოვში“ გვხვდება ავტორისეულ მეტყველებაში: **მაგ. შალვარი**. რომელი ეპოქის და სოციალური წრის პერსონაჟზეც წერს ავტორი, იმგვარ ფორმებს იყენებს.

ე) **სუბსტიტუცია** ტრილოგიაში ხშირია: **რავთენიმე და რამდენიმე** (პერსონაჟთა მეტყველება) **სავსე და სამსე** (ავტორისეული).

ვ) **ასიმილაცია**. ტრილოგიაში გვხვდება **გამარცვა და გაცარცვა, ჭიშკარი და ბჭისკარი, შიმშილი და სიმშილი**. პირველი დავადასტურეთ ავტორისეულ მეტყველებაში, მისი ამოსავალი ფორმა **სიმშილი** კი – პერსონაჟისაში.

ავტორისეულ მეტყველებაში გვხვდება ფორმები: **გასინჯეთ და გაშინჯეთ; რადგან და რათგან**.

ხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები ხშირია ავტორისეულ (მეედოთ, გედევშვენ, წეედოთ) და პერსონაჟთა მეტყველებაში (მეიარე, მევიდა, გევიგე).

ზ) დისიმილაცია

სიტყვა **პასპორტი** სამგვარი ფორმითაა წარმოდგენილი: **პასპორტი, პაშპორტი** და **ბაშფორტი**. ავტორისეულ მეტყველებაში გვხვდება **ხუთშაბათიც და ხუთშაფათიც; ტფილისი, თფილისი და თბილისიც; თეატრიც და თიატრიც**. ბათომი ავტორისეულ მეტყველებაში გვაქვს, **ბათუმი** – პერსონაჟისაში.

ხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებია: **ფაეტონი//ფაიტონი; თეატრი//თიატრი**.

თ) ბგერის დაყრუება

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებაზე ცხადად იკვეთება ზეპირი მეტყველების გავლენა: **ადრიანათ, უმიზეზოთ, გემრიელათ, დაუნანებლათ, პირადათ, მშვიდათ...**

ორმაგი კოდირების ყველაზე მეტი ნიმუში გვაქვს ავტორისეულ მეტყველებაში, მწერალი ერთსა და იმავე წინადადებაში პარალელურ ფორმებს: **ლანდათ და მოთვალთვალედ; მეტად კარგათ; მშფოთვარეთ და ფერად; სწრაფად და პატიოსნათ; მოულოდნელათ სწრაფად; მსმენელად, ურვეულოთ და უცნაურად და ა. შ.**

თემის ნიმუშებში ბგერის დაყრუება დასტურდება პერსონაჟთა მეტყველებაში: **ვდეფ, დაგეძეფ...** აქ იშვიათია **ვმოქმედობ, ამბობთ, ვამაყობ, ეძებს** და მისთ. ფორმები.

ი) უცხოურ ენათა გავლენა ცოცხალ მეტყველებაზე

უცხოურ ენათა გავლენა ჩანს შემდეგ ფორმებში: **ბიბლიოტეკა, გონორარი, ტაკტი, ანტრაკტი, კორექტორი** (პერსონაჟთა მეტყველება); **სიმპატია, ესტეტიკა...** (ავტორისეული მეტყველება). **ქტ კომპლექსი** იშვიათია: **აქტი, ელექტრონი**.

ორმაგი კოდირება გვაქვს პერსონაჟის მეტყველებაშიც (**ლეოღრაფია//გეოღრაფია, ღუბერნია//გუბერნია; ლიტოღრაფია//ლითოღრაფია; ფსიქოლოგია// ფსიხოლოგია**) და ავტორისეულშიც (**ეგზარხოსი//ეგზარქოსი, ფსიხიატრი//ფსიქიატრი; გერბიგერი//ჰერბიგერი**).

რამდენიმე სიტყვის ორმაგი კოდირება შეგვხვდა როგორც ავტორისეულ, ისე პერსონაჟთა მეტყველებაშიც: **ჩემოდანი//ჩემადანი; ოფიცერი//აფიცერი; კოსტუმი//კასტუმი; პარიზი// პარიჟი, პროპაგანდა//პრაპაგანდა**.

ამრიგად, ტრილოგიის ფონეტიკურ თავისებურებათა (ბგერის დაკარგვა, გაჩენა, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი) განმსაზღვრელი ცოცხალი მეტყველებაა. ფორმათა სიჭრელე გვხვდება სხვადასხვა, ერთი და იმავე პერსონაჟის და თვით ავტორის მეტყველებაშიც.

II. 2. მორფოლოგიური თავისებურებანი

2.1. სახელები. „მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში მეტად საინტერესო ფაქტია ავტორისეულ მეტყველებაში არქაიზაციის მიზნით ანთროპონიმთა გაუფორმებელი სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების გამოვლენა: **ჯანზურაბ** ბრწყინავდა, **ჯანზურაბ** ხუმრობდა, **ჯანზურაბ** გრძნობდა, **ჯანზურაბ** მივიდა, **ჯანზურაბ** მზად იყო, **ჯანზურაბ** ჩამოქვეითდა, **გრინბერგ** დაჭრილია, **ჯანზურაბ** ნაგანი მოსძებნა; **ჯანზურაბ** მოიშორა; **ჯანზურაბ** ააბრიალა. ანთროპონიმი მოთხრობით ბრუნვაში მარკირებულიცაა: სთქვა **ჯანზურაბმა**; **ჯანზურაბმა** დაინახა; **ჯანზურაბმა** დაინახა.

პერსონაჟთა მეტყველებაში ანთროპონიმს დაერთვის წოდებითი ბრუნვის დაბოლოება: ასიავე; ილიკოვ. ორმაგი კოდირება გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში: ილიკო! ილიკოვ! აქ ისევ სასაუბრო სტილია დომინანტი, ზემოდასახელებულ ფორმებში კი ჩანს ძველი ქართული ენის გავლენა.

2.2. ზმნა

ტრილოგია „მადათოვში“ ზმნის კატეგორიათა წარმოებისას გვხვდება როგორც ძველი და ახალი, ისე მწიგნობრული სტილისა და ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმები.

ა) სუბიექტური პირის ნიშნები

პერსონაჟისეულ მეტყველებაში ზმნის პირველი სუბიექტური პირის ორმაგი კოდირების ნიმუშები გვაქვს: **გაუცინე, უთხარი, მოუნდით, დაუძახე, მიუგე...**

ავტორისეულ მეტყველებაში ორმაგი კოდირება გვაქვს ერთსა და იმავე აზრაცში: **შევეუდექი//გამოუდე.**

მეორე სუბიექტური პირის **-ხ, -ჰ, -ს** ნიშნები ზედმეტია როგორც ავტორისეულ, ისე პერსონაჟისეულ მეტყველებაში: **გასძლო, შესწუხდებით, შესძლებ.**

მესამე სუბიექტურ პირში, მრავლობით რიცხვში გვაქვს როგორც ძველი და ახალი, ისე მწიგნობრული და სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმები. მაგ. **-ნენ** სუფიქსიანები: **დაგიბეჭდავდნენ, წამოიშლებოდნენ, ამბობდნენ...-ენ** სუფიქსიანები: **აგიწონიდნენ, გადმოგიყრიდნენ, დაათრევდნენ, წამოდგენ.**

ორმაგი კოდირებაა ერთსა და იმავე წინადადებაში გამოყენება: **გადასახლდენ... ავიწროებდნენ; გააჩერებდენ... მოაწყობდნენ; დაბრუნებულიყვნენ... დაიძრენ.**

ბ) **ობიექტური პირის ნიშნები.** მოპოვებულ მასალაში ხშირად ზედმეტია ობიექტური პირის ნიშანი. ეს არქაული მოვლენა დიალექტებშიცაა შემორჩენილი:

ავტორისეული მეტყველება: სჩანდა, სწერს, მოსძებნა, სთქვა, სცნობდა, დასწვა, პერსონაჟის მეტყველება: დავსწერო, დავსწერე.

ზმნას ზოგჯერ აკლია მესამე ობიექტური პირის ნიშანი: ჭირდა; ჭირდება; მოწყურდება; ყავდა. აქ ცოცხალი მეტყველების გავლენაა. პარალელურ ფორმათა არსებობა აიხსნება როგორც სასაუბრო სტილის დომინანტობით, ისე ენობრივი ფორმებით თამაშით.

ბ) თემის ნიშანთა წარმოება

ტრილოგიაში პერსონაჟის მეტყველების თავისებურებაა თემის ნიშანთა პარალელური ფორმები: სძინავს, გძინავს? სძინამთ, დაჰგეშამ, ვსვავ... ავტორისეულია გახლამთ.

ტრილოგიაში პერსონაჟთა მეტყველებაში თვალში საცემია -ობ' თემის ნიშნის ხმარება ებ'-ის ნაცვლად: ვმოქმედობ, აპირობს. ავტორისეულ მეტყველებაში ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება -ებ/-ობ: მოძუნძულობდა/მოძუნძულებდნენ; მოქმედებდა // მოქმედობდა.

თემის ნიშანთა წარმოებისასაც მწერალი უპირატესობას სასაუბრო ფორმებს ანიჭებს.

გ) **კონტაქტი.** ტრილოგიაში შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისას ჭარბობს მწიგნობრული ფორმები, ნაწარმოები -ინ, ისე -ევინ სუფიქსებით. პერსონაჟისეული მეტყველება: მასმენინე, მომაწერინა, ვაყურებინებ, აკერინებს. ავტორისეული მეტყველება: დავადებინე, შევაწყვეტინე, ჩააყრევინებდა.

ცოცხალი მეტყველების გავლენა სუსტია: გამომადგმევია, შემოაშვებზე.

დ) **ზმნისწინი და მისი ფუნქციები.** პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება ზმნისწინის დიალექტური ფორმაც: წყალი მაიტანე.

როგორ პერსონაჟისეულ, ისე ავტორისეულ მეტყველებაში დასტურდება ფორმები, სადაც აღ ზმნისწინი გამარტივებულია: აიშფოთო, აგვიწერეს, აუწერელი, აწერილია, მოაწევს. გვაქვს საპირისპირო მოვლენაც: აღკრძალვები, განაოცოს.

დასტურდება ზმნისწინთა შენაცვლების შემთხვევებიც: მისთავაზეს, გამო-
იშვიათდა, გამტანჯეს, გაატკბოს.

ე) ვნებითი გვარის ფორმები. რომანში „ვეშაპი მადათოვზე“ გამოვლინდა
მიჩნევის ვნებითის რამდენიმე საინტერესო ფორმა: **მენიშადურები, მესიმპატიურები.**

აკა მორჩილადე ხშირად მიმართავს აღწერითი ვნებითის ფორმებს, რომლებიც
მხატვრულ დისკურსში არ გვხვდება. ეს განპირობებულია გამოძიების მასალების,
ოქმების გამოყენებით. გვაქვს მათი ორმაგი კოდირებაც: **შემჩნეულ იქნენ, მოკლულ
იქნა, ილუსტრირებულ იქნა, ნაშოვნო იქნა, გადანახული იქნა.**

ვ) I-II თურმეობითების ფორმათა წარმოება

ავტორისეულსა და პერსონაჟისეულ მეტყველებაში გვაქვს -ავ' და -ამ'
თემისნიშნისანი ზმნების I თურმეობითის მწიგნობრული ფორმები: **განუზრახავს,
წაუკითხავს, დაუნახავს, დამიკრავს, წამიკითხავს.**

-ია დაბოლოებიანი ფორმების ხმარება ცოცხალ მეტყველებაში გაბატონებული
ტენდენციაა. დასტურდება ავტორისეულ მეტყველებაში: დამინახია, შემოუხედა...

ცოცხალი მეტყველებისავე გავლენა ავტორისეულ და პერსონაჟისეულ
მეტყველებაში თურმეობითის მწკრივებში ნარიანი ფორმების გაჩენა: **ულაპარაკნია,
დაგილევნია, უამზნია, გაუკითხნია, ეცემნათ, ეომნა, გაებედნა.**

ავტორისეულ მეტყველებაში გვხვდება ორმაგი კოდირების ნიმუშები ერთსა და
იმავე წინადადებაში: **ემოქმედნა...ემოქმედა; ჰქონიყოთ...ჰქონიყო...ჰქონოდა.**

ტრილოგიაში ვხვდებით ზმნათა კავშირებითის დიალექტურ ფორმებს, სადაც ო
ნიშნის ნაცვლად ვე' კომპლექსი გვაქვს: პერსონაჟისეული მეტყველება: იყვეთ, ვიყვე,
იყვეთ. და პირიქით, ავტორისეულ მეტყველებაში ვა' კომპლექსის ნაცვლად გვაქვს ო:
მიირთო, თქოს.

ამრიგად, I-II თურმეობითების ფორმათა წარმოებისას თავს იჩენს სიჭრელე,
მაგრამ მთლიანობაში მაინც სასაუბრო სტილის დომინანტურობაა გამოკვეთილი.

2.3. უდეტრები

ა) ზმნიზედა. ტრილოგიაში წინ ზმნიზედის გვერდით წარმოდგენილია მისი
პარონიმული წყვილი წინათ და ამ უკანასკნელი ფორმის ვარიანტებიც: **წინეთ/ წინედ.**

ადგილის ზმნიზება პერსონაჟის მეტყველებაში დასტურდება დიალექტური ფორმით: **ზეით** სოფელია.

ბ) თანდებული. ტრილოგია „მადათოვში“ სიჭრელა თანდებულების გამოყენების დროსაც: გვაქვს **თვის// თვინ; ზე //ზედ, დან//დამ, მდე//მდის//მდინ.**

ავტორისეულსა და პერსონაჟისეულ მეტყველებაში დიალექტური **მდინ//მდის** ფორმებიც გვხვდება: **ბაქომდის, დრომდინ, სემინარიამდინ, აქამდინაც.**

პერსონაჟისეულ მეტყველებაში გვაქვს არქაული ფორმები: **ბაქანზედ, ხიდზედ, დროზედ, მიხეილზედ.** ორმაგი კოდირების ნიმუშია: **სოლოლაკზედ/ტყავებზე.**

გ) კავშირი. ტრილოგია „მადათოვის“ დისკურსზე ცოცხალი მეტყველების გავლენას გვიჩვენებს კავშირთა დიალექტური ფორმების გამოყენებაც: **მარამ, მარა, ვინემ და ა.შ. მაგრამ** კავშირი გვხვდება **მარამ, მარა** ფორმებითაც.

დ) ნაწილაკი. ტრილოგია „მადათოვში“ ხშირია– **თქოს** გამოყენება –**მეთქის** ნაცვლად. მის გვერდით გვაქვს მწიგნობრული ფორმებიც. პერსონაჟისეული მეტყველება: **თქვენ რა შუაში ხართ-თქო; ვიფიქრე ზაკასჩნიკია-თქო; დამანებე თავი-თქო; ცოლი შემოვირიგო-მეთქი.**

სიჭრელა ავტორისეულ მეტყველებაშიც: **გააჩერებს-თქო, ვლელავ-თქო, უნდა ჩამოხსნა-მეთქი, არ მომწიონ-მეთქი, წადი-მეთქი, დასაშინებლად-მეთქი.**

შეიძლება ითქვას, უდეტერთა ხმარებისასაც იგრძნობა სასაუბრო სტილის გავლენა, თუმცა აქაც გვხვდება ორმაგი კოდირება.

ამრიგად, ტრილოგია „მადათოვის“ **მორფოლოგიურ თავისებურებებს** ძირითადად განსაზღვრავს სასაუბრო სტილი (ანთროპონიმთა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფორმების, ზმნის მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ხმარება; პირველი სუბიექტური პირის, თემის ნიშანთა ხმარება, ზმნისწინთა გამარტივებული, თურმეობითების ნარიანი ფორმების გამოყენება). ეს პერსონაჟის სოციალური სტატუსის, განათლების დონის წარმოჩენას ემსახურება.

მწიგნობრული სტილის გავლენა ჩანს შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებაშიც. მხატვრულ დისკურსში აღწერითი ვნებითის ფორმების გამოვლენა სტილთა ეკლექტიზმითაა შეპირობებული. სასაუბრო სტილის გამოკვეთილი

დომინანტურობა, ძველი და ახალი ენობრივი ტენდენციების თავმოყრა, ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობა მწერლის სტილს ორიგინალურს ხდის.

II.3. სინტაქსური თავისებურებანი

3.1. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა. ა) შეთანხმებული მსაზღვრელი

ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია რიცხვითი და ზედსართავი სახელებით, მიმღეობით, ნაცვალსახელით. ის ძირითადად პრეპოზიციურია: თავის ხრიწიანი ხმით, ძველ თანამდებობაზე, უცნაური ღიმილით, გამაგრილებელ წყლისთვის.

ბ) მართული მსაზღვრელი

ტრილოგიაში სუბსტანტიური მსაზღვრელის პოსტპოზიციური, ინვერსიული წყობა პრეპოზიციურთან შედარებით ხშირად გვხვდება. ისინი ავტორისეულ მეტყველებაშია: კულტი სისუფთავისა, ტალღები ზღვის, სიტყვები უბედურობისა.

გ) მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი

პრეპოზიციური წყობა: კედლის საათის მოგუდულმა ჟღერამ, თავის წითელი ხის მაგიდა.

პერსონაჟთა მეტყველება: აკრძალული წიგნების სანიმუშო ბიბლიოტეკა, ხაშმის ღვინის დამწურავ კაცს, იაფ წიგნების განთქმული ავტორი.

უფრო ხშირია მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა: მგზავრი ყოველი ცხოვრებისა, ტალახიანი პროზა ემილ ზოლასი, დახვეული სიმები ჭიანურისა; ნდობა პატიოსან სიტყვის; მოწმე იმ საზიზღარ ამბისა.

ავტორისეულ მეტყველებაში ერთ წინადადებაში ორივენაირი წყობაა: მუშაკი ვაკის სასაფლაოსი, იქაური საქმის მწარმოებელი; ქცევას მისი გმირებისას; აღმოსავლური საკრავი და ჰანგი ნამტვრევი ანუშირვანთა ხანისა. შეიძლება ითქვას, ავტორი სიტყვათა წყობასაც იყენებს ენობრივი თამაშისთვის.

3.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

ავტორისეულ მეტყველებაში პროფესიის, წოდების აღმნიშვნელი სახელები საკუთარ სახელთან ერთად ორნაირად იბრუნება. გვაქვს ექიმი ბურმისტროვი, პროფესორმა სამანიშვილმა, ექიმმა ბურმისტროვმა და კაპიტან საგინოვი; ექიმ ბურმისტროვი, კაპიტან საგინოვმა, მაიორ შტოკვიცმა და ა.შ.

ტრილოგიაში მსაზღვრელ-საზღვრულის სრული სახეობის ნიმუშები მეტწილად ავტორისეულ მეტყველებაშია, ნაკლებია პერსონაჟისეულში: **თხელს წყალში; გრძელს თითებს, მთელს ქალაქს, ერთგვარის გაცვებით, მთელს ღამეს, ჩვენს ლაპარაკს.**

ტრილოგიაში **შეკვეცილი სახეობის ნიმუშები** მრავლადაა პერსონაჟის და ავტორის მეტყველებაში: **სულელურ შემთხვევამ, დამნახავ პოლიციამ, აუცილებელ საქმის, ხელუხლებ კიტრის, კავალერიულ ილეთით, ცისფერ ყვავილებით, დავიწყებულ ხმამ, ნატეხ ჭადის, დამზალ ნახერხით, რუსულ გაზეთიდან...**

ორმაგი კოდირების ნიმუშებია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების გარდამავალი და შეკვეცილი სახეობები: **ჩემ ცხოვრების სამი ნაბიჯის გამო, შეუკრეჭელი თმით და გაბანდულ წვერით; ჩვეული რიხით მთვრალ ხმით; რაციონალურ სისწორით, გონიერების სრული საღობით.**

ამრიგად, ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვეცილი სახეობა, იშვიათია სრული. ტრილოგიის სინტაქსურ თავისებურებათა განმსაზღვრელიც ცოცხალი მეტყველებაა. არქაული სტილისაა მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა, მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა.

II.4. სამეტყველო კოდების შერევა და გადართვა

მეტად საინტერესოა კოდების გადართვა და შერევა. აკა მორჩილაძე ამაზე სქოლიოშიც მიუთითებს: ***აქ მთელი ლაპარაკები ფრანგულ-გერმანულის აღრევით და რუსულათ მიმდინარეობს. ნ. ლადარია საგანგებოდ მსჯელობს ბილინგვიზმსა და სამეტყველო კოდების გადართვა-შერევის სოციოკულტურულ ასპექტებზე, თუ რა კონკრეტულ სიტუაციაში იმყოფება მთქმელი დროის მოცემულ მომენტში. ზოგჯერ კოდის გადართვას ესთეტიკური ან სხვა ბუნების ექსპრესიული მიზეზი აქვს“** (ლადარია, 2002).

როგორც აღინიშნა, პერსონაჟთა მეტყველებაში სასაუბრო სტილია დომინანტი, ისინი რუსი, სომეხი ეროვნებისანი და ბილინგვები არიან. უცხოური ლექსიკური ერთეულები ქართულ სიტყვებთან ქმნის შეხამებებს: **დიდი სტაქნით, კარგ ფუტბოლს, საქალაქო სუდში, ჩემ პალაჟენიაში, მისტიჩესკი სიმბოლისტები.**

რუსიციზმები მორგებულია ქართული ენის ბუნებას, სქესი არასწორადაა გადმოცემული: **ხლებნი პლოშადის, ერივანსკის პლოშადზე.**

ტრილოგიაში უხვად გვხვდება რუსული და ქართული სამეტყველო კოდების შერევაც და გადართვაც: **ოი, ოი, ოი... ა ჩომ ონ გავარიტ?** ჩვეულებრივი თამაშია; **ონ ვსიო ატლალ** და ის რო ჩადიოდა... მინდა და გიყურებო, **დურაკ... ნუ, დურაკ;** **გასპადინ, ხაროშ, სტოლები** დაჭერილია, დღეს **კანარეიჩნი ვეჩერი** გახლამს; სისხლის **ზაპასი; რიადავოი სალდატი** უგებს; ჩადგა **ჩიტვიორტი აზიაცი პოლკი**, მეც იმ **პოლკში** ვიყავ; **პაბეგში ვარ და ძებნაში ვარ;** გამოიფხიზლე, **ცარ იუდეისკი; ხარაშო,** მივალთ ეხლა; **გასპადინ, გასპადინ, დოპუსკი** დამთავრდა; **ტანცები უჟე** დაწყებულია; ასე და ასე, სიმალლე...

პერსონაჟთა მეტყველებაში ძირითადად რუსული ენის კოდს ქართული ცვლის, რათა განმარტოს ნათქვამი: **ნუ კაკ ტი? როგორ ხარ?; სონ.** ცუდი სიზმარი ვნახე; **ვსე ნამერა ზანიატი.** ყველა სტოლი დაჭერილია; ბოროტ-მოქმედეა! **ზლადეი!**

იშვიათად გვაქვს ქართულ-გერმანული და ქართულ-ინგლისური კოდების შერევა: ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა. **დას ისთ; ეზ სუნ ეზ პოსიბალ** – თქვა ზოია კასაბროდოვამ.

რა **ავანტიულ** არის ესა? ნამდვილ **ავანტიულში** მოვხვდი. ავანტიურა (ფრანგ. Aventure) არის 1. „უპერსპექტივოდ, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებულ საქმე“, 2. თავგადასავალი, ჩვეულებრივ საძრახისი“ (ჭაბაშვილი, 1989).

კოდების შერევა და გადართვა თბილისური მეტყველების სიჭრელის მაჩვენებელია.

თავი III. ლექსიკური და სტილური თავისებურებანი

სიტყვის სწორი შერჩევა მწერლის სტილს, მის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს. ტრილოგიაში ძველისა და ახლის შერწყმა, კოლაჟი ერთდროულად არის ნოვატორულიც და ტრადიციულიც, კომიკურიც და ტრაგიკულიც. ეს ავტორს პერსონაჟთა ტიპიზაციის, ეპოქის დასახასიათებლად ან სხვა რაიმე მიზნით (ნაწარმოების იდეა, მიზანდასახულობა) სჭირდება. ამით გამოიხატება მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალურობაც და მისი, როგორც ფილოლოგის, დამოკიდებულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ენობრივი მოვლენებისადმი.

III.1. სასაუბრო სტილის ლექსიკა

ტრილოგია „მადათოვში“ ბევრია სასაუბრო სტილის სიტყვა ავტორისეულ მეტყველებაშიც კი: დილხორი (სურვილი), ოქლაქი (აყლაყუდა), ქერქეტი, ჩერჩეტი, დილხორი, მოკვარახჭინა, ხვრიპა, თქვლევა, მოკვარახჭინება, წანწალი, ბოტება, სუნსული, პრუწუნ, ლაყაფი, მომსპარი, ბეხრეკი.

სასაუბრო სტილის გამოკვეთილი თავისებურებაა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება მაგარი, საშინელი, საოცარი, რაც ერთობ გავრცელებული ენობრივი ტენდენციაა. მაგ.: მაგარი ხელფასი, მაგარი თამაში, მაგარი კაიფი, საშინელი ამბავი, საშინელი ჟილეტი; საშინელი კარი; საშინელი ხახა; საშინელს ზამთარს; საშინელი განცდები; საშინლათ მეწვოდა.

III.2. დიალექტიზმების სტილისტიკური ფუნქციები

მხატვრულ ტექსტში დიალექტიზმის გამოყენებით ფრაზა დინამიკურიც ხდება. უახლეს ქართულ ლიტერატურაში ... სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება დიალექტი (ამფიბიადი, 2018). ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ ეს „ენობრივი კრიზისი ყველაზე უფრო თბილისურ მეტყველებას დაეტყო, რადგან ქართული ენის კილოებს შინაგანი პოტენცია უღევად ჰქონდა“ (ჯორბენაძე, 1997:16).

ტრილოგიაში ნაკლებია ლექსიკური დიალექტიზმები: რეიზა, ხანობას, ხანობაზე, ხანობამდის, ხანობაში, რახან, იმფერი, სხვაფერი, მოხაზირებული, ღმურძღვა, ქსუტუნებს, ქსუტი, ბუნტყლი, ფინცქვალი, მინაზურება გამჰა, ჰვინტი, რიოში, ზურზუტი, ღმურთუნი, ფოჩიალი. ისინი ინტერდიალექტურია; გამოიყენება პერსონაჟთა მეტყველებაშიც და ავტორისეულშიც.

III.3. არქაიზმების სტილისტიკური ფუნქციები

არქაიზმები მხატვრულ დისკურსში მიგვანიშნებს პერსონაჟის ხანდაზმულობასა და გაუნათლებლობაზე, ყველაზე ხშირად კი ქმნის ეპოქის კოლორიტს. „ყოველივე ეს მწერალს ეხმარება, რომ მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენების ცხოველმყოფელი აღქმა“ (ზანდუკელი, 1960).

გამოვლინდა შემდეგი არქაიზმები: შთება, შთენილი, იქმს, თებო, ოროლი, სახუნდარი, ფარსაგი, მაჯაგანი, ხვასტაგი, წუნწუხო, ნაღვლარჭნი...

III.4. ბარბარიზმების სტილისტიკური ფუნქციები

ენაში, როგორც სოციალურ მოვლენაში, აისახება ხალხთა შორის კონტაქტებიც. ბარბარიზმების შემოჭრა, უარყოფითი ანუ დესტრუქციული ინტერფერენცია, ენის სისტემის „ბარბაროსულად დარბევას“, თუმცა მხატვრულ დისკურსში ამას გარკვეული სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება.

ბ. ჯორბენაძე წერს: „XVIII საუკუნიდან ქართულ ენაში ფაქტობრივად ყალიბდება თავისებური „ზედიალექტი“ – თბილისური ქართული, შეზავებული აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული, სომხური...) ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, ხშირად სინტაქსური კონსტრუქციებითაც და მორფოლოგიური ყალიბებითაც კი“ (ჯორბენაძე, 1997).

მწერალმა ამ ციკლის მოთხრობებში ზედმიწევნით ასახა მე-19-20 საუკუნეთა ენაში შემოჭრილი რუსიციზმები: **მალიარი** (მღებავი), **ხუდოჟნიკი** (მხატვარი), **დვორნიკი** (მეეზოვე), **სტოლი** (მაგიდა), **პოვარი** (მზარეული), **ზაკაზი** (შეკვეთა) და ა.შ. **ჩეთვერი** (четверть) მეოთხედს ნიშნავს და ქართულში გამოიყენება მიწის საზომად. ტრილოგიაში გვხვდება **ოთხის ჩეთვერი**. დროის აღნიშვნის მოცემული წესი ინგლისურია.

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში ბარბარიზმები მორგებულია ქართულ ენობრივ კატეგორიებს: ჩაისმის ბრუნვაში, რიცხვში და თანდებულებსაც დაირთავს: სთქვა **პრიკასჩიკმა**; **სიშიკებმა** დაატუსაღეს, მოუტრიალდა **პჩელნიკს**, **დვორნიკს** მივანაბურეფ; თუჯის **ჩაინიკს...ტავარიშჩები**, **ეკზამენები**, **სტრელკები**, **გარადოვოები**, **ესტრეჩები**, **ბარიშნები**, **შპიკები**, **ჩეკისტები**, **კრასკები**, **ლინეიკებით...**

დასტურდება ასევე თურქიზმები, არაბიზმები, სპარსიზმები და ა.შ. ისინი ძირითადად უკავშირდება სავაჭრო მიმოსვლას, ხელობას და ა.შ. ესენია: **თულუხჩი**, **ფინდიხი**, **დაბალი**, **ყონალი**. **დოსტი** ამხანაგი, მოყვარე, გულის მეგობარია (გრიშაშვილი, 1997). ეს სიტყვა დღესაც დასტურდება ჯავახურში, ზემო გურულსა და აჭარულში. **კარდაში** (Kardeş) თურქული სიტყვაა და მმას ნიშნავს. **იახშიოლ** თურქ. აზერბაიჯ. კარგად იყავი) ღვინის სმაში „ალავერდის“ საპასუხო სიტყვაა.

მწერალი ქართულ სიტყვას და რუსულით გვიხსნის: ხიდის უბანში სცხოვრობს **მხატვარი**, ანუ **маляр**-ი ხაფო, ავტორი მას **художник**-ის ნაცვლად **маляр**-ად, უბრალო მღებავად მოიხსენიებს.

საინტერესოა თურქიზმისა და რუსიციზმის ერთად გამოყენება: მყოლია **ყონალები და ტავარიშჩები**.

ნაწარმოებში რუსიციზმების დომინანტობა მწერლის გარკვეული სტრატეგიაა, რეალისტურად ასახოს აღნიშნული ეპოქის ენაზე რუსული ენის ზეგავლენა. ყოველივე ეს აკა მორჩილადის წერის სტილს ემნის. გვხვდება აღმოსავლურ ენათაგან ზეპირი გზით შემოსული სხვა სიტყვებიც, ასევე **ანგლიზმებიც: ჰავტაიმი, ინსაიდი, ბუქმარკები, დაუნლოუდები, ადვერტისმენტი, პრიჰასპატი**.

ამრიგად, აკა მორჩილადის „მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში ბარბარიზმები ეპოქის კოლორიტის შესაქმნელად, პერსონაჟის დასახასიათებლად ან დაცინვის მიზნითაც გამოიყენება. მეტად საინტერესოა, რომ მათ ვხვდებით ავტორის მეტყველებაშიც.

III.5. დისფემიზმების სტილისტიკური ფუნქციები

დისფემიზმს აკა მორჩილადის დისკურსში საკმაო ადგილი უჭირავს, სასაუბრო სტილის დომინანტობით აიხსნება. ისინი გამოიყენება პერსონაჟის ხასიათის, განათლების დონის, სოციალური წრის ან მისი ნაკლოვანების წარმოჩენის მიზნით.

ტრილოგია „მადათოვში“ შემდეგ დისფემიზმებს ვხვდებით: **ობრული, მაწანწალა, ნაძირლები, ნაგვობა, მყრალი, ვირიშვილი, უნამუსო, თახსირი, ვირგლა, ძაღლის გაგდებული და სხვ.**

სათქმელის დისფემიზაცია არამარტო ესთეტიზაციის საპირისპირო მოვლენაა, ერის სულიერი დეგრადაციის მაჩვენებელიცაა. მათი საშუალებით ვლინდება ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი.

III.6. ჟარგონის სტილისტიკური ფუნქციები

ტრილოგიის გამოკვეთილი თავისებურებაა ობსენიტური ლექსიკის თვალში საცემი გამოყენება. ვულგარიზაცია ესთეტიზმის საპირისპირო მოვლენაა, რომელმაც ქართულ დისკურსში პანდემიის ხასიათი მიიღო“ (ომიაძე, 2006).

აკა მორჩილადე ზოგადად ხშირად მიმართავს ჟარგონს. ერთ-ერთ ინტერვიუში ის აღნიშნავს: „წერის ერთ-ერთი კაიფი ნაწერში ავტორის, როგორც უხილავი გმირის, მონაწილეობაა“.

ტრილოგიაში გვხვდება როგორც ქართული, ისე რუსული, არაბული თუ თურქული ჟარგონები: **დერსკი, კაროჩე, პუტანკა, პონტი, გატისკვა** (ცივი იარაღით დაჭრა, გალახვა; **გატისკული** – დაჭრილი, დაშავებული).

გვხვდება რამდენიმე **თურქული და არაბული** ჟარგონიც: **ჩალიჩი, სიფათი, მაყუთი, კაიფი და ახვარი**. ქართული ჟარგონი, რაღა თქმა უნდა, მეტია, ვიდრე სხვა ენებისა, ესენია: **დაბრიდა, დარხევა, ევასება, ჯიგარი, გარეკვა, გაჩითვა**.

ტრილოგია „მადათოვშიც“ ჟარგონულად ძირითადად მამაკაცები მეტყველებენ, საერთოდ, ქალი პერსონაჟი ცოტაა.

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში ბარბარიზმის შემდეგ ჟარგონი ყველაზე ხშირია. მათგან ხშირად გვხვდება ქართული, შედარებით ნაკლებად თურქული, საკმაოდ ხშირად კი რუსული ან რუსულის გზით შემოჭრილი ჟარგონები. ისინი ავტორისეულ მეტყველებაშიც გვხვდება, რაც მეტად საინტერესო ფაქტია.

III.7. სკაბრეზის სტილისტიკური ფუნქციები

ტრადიციულ ლიტერატურაში სკაბრეზული გამოთქმა, „დაუწერელი სიტყვა“ (ე.წ. *непечатное слово*) სამი წერტილით გამოიხატებოდა. მას მართლმადიდებელი ეკლესიაც კრძალავდა. ის ზეპირი დისკურსის მახასიათებელი იყო და ჰერმეტიზმი თითქოს ხსნიდა უხერხულობას, მაგრამ ის შეიჭრა მასმედიის, კინემატოგრაფიის ენაც და მხატვრულ ლიტერატურაშიც. ბილწსიტყვაობის გამო მწერალს ხშირად აკრიტიკებდნენ. სხვა მოსაზრებით, თუ ავტორი სოციალურ რეალობას აღწერს, ვალდებულიც არის, ბუნებრივად, უცვლელად გადმოსცეს ის. „გასაგებია ავტორის ფიქრი მკითხველის რეაქციასთან დაკავშირებით, რომ ის არ თვლის, თითქოს სხვა ენაზე წერდეს“ (ტრაპაიძე, 2012).

დღეს ამგვარი სითამამე და მკითხველთან სოლიდარობა გვხვდება ბესტსელერებშიც კი. პროფესორი დავით პაიჭაძე თამარ სუხიშვილთან ინტერვიუში საუბრობს „აკა მორჩილამესთან არანორმატიული ლექსიკის იშვიათობის შესახებ. ლალი ავალიანი თვლის, რომ „მადათოვის“ პოპულარულობა სწორედ მისმა სკაბრეზულობამ განაპირობა. სკაბრეზი რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის– ხაფო-მხატვრის საუბარში გამოიხატა ქართული ლიტერატურისთვის მიუღებელ თემებზე, არატრადიციულ ორიენტაციაზე, მამათმავლობაზე საუბრისას (ავალიანი,

2002). ჩვენი აზრით, მწერალი არატრადიციული ორიენტაციის ხალხისადმი დამოკიდებულებას სწორედ ამგვარი ლექსიკის გამოყენებით გამოხატავს. რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ სკაბრეზული ლექსიკა ბარბარიზმის და ჟარგონის შემდეგ მოდის. სკაბრეზს ისეთი განსაკუთრებული ადგილი არ უჭირავს, როგორც ლ. ბულადის, ზ. ბურჭულაძის და სხვათა შემოქმედებაში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ტრილოგია „მადათოვის“ სტილის პოპულარულობა ამანაც განაპირობა.

მწერალი სკაბრეზს შემდეგი მიზნებით იყენებს: პერსონაჟის სოციალურ წრეზე მინიშნება, განათლების დონის წარმოჩენა, განცდების, ემოციების გამოხატვა და ა. შ.

ტრილოგიაში პერსონაჟთა უმრავლესობა მამაკაცია. ...**ნიფხავი, მოფსი, ნაბიჭვრები...** ასეთ სიტყვებს ავტორისეულ მეტყველებაშიც ვხვდებით: **კურტუმო, მეტრაკე...** სიტყვა **ბოზი** ჟარგონულად გამოიყენება და ნიშნავს საიდუმლოს გამცემს.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრილოგიის ლექსიკურ თავისებურებებში მწერალი ყველაზე ნაკლებად არქაიზაციას მიმართავს, მცირე დოზით გვხვდება დიალექტიზმებიც, თუმცა ბარბარიზმები, ჟარგონი და სკაბრეზული ლექსიკა მწერლისთვის მეტად პოპულარული ხერხია მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად.

III.8. ფრაზეოლოგიზმთა სტილისტიკური ფუნქციები

ფრაზეოლოგიზმები ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. „ფრაზეოლოგიური თეზაურუსი კულტურის ვერბალური თეზაურუსიცაა და ენის გამდიდრებას ემსახურება“ (ცეცხლაძე, 2018). მათი შესწავლა მეტად საინტერესოა სხვადასხვა ტიპის დისკურსში, განსხვავებულ ავტორთან, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებსა თუ მიმდინარეობაში (Караилов, 1987).

აკა მორჩილაძის ტრილოგია „მადათოვის“ ფრაზეოლოგიზმები ძირითადად სასაუბრო სტილისაა. მათგან ბევრია სომატიზმი (ცეცხლაძე, 2017), აქედან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა-კონცეპტია **გული**. მიჩნეულია, რომ ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, წყენა, ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები** ძირითადად **გულს**, მის მოძრაობას უკავშირდება“ (ცეცხლაძე, 2018).

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, „გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს“ (ჩიქობავა, 1938). ეს არის უარყოფით-დადებით ემოციათა ასიმეტრიულობა ენაში (ფონიავა, 2011).

ამგვარი ფრაზეოლოგიზმები ადამიანის ღრმა განცდებს უკავშირდება: ესენია: სიყვარული, სიმპათია-ანტიპათია, გაბედულება, დარდი, შებრალება, შიში, აკვიატება, გაბრაზება, რაღაცისკენ სწრაფვა, ემპათია: *დამწყდა გული, გული დაეწვა, გულს სევდა შემომაწვება, შიში ნუ ჩაგივარდება გულში, გული არ მიგვდიოდა, გულიც მიუწევს, გული არ გაგრილებოდა, გულზე არ ეხატება, ძლიერ ჭიად ჰყავდა გულში, გულს ამოეჭრა, სურვილი დაუვლიდა ბებერ გულ-ღვიძლში, გულის გაცხელება, სიციხის დავლა გულ-გვამში.*

ანტითეზას ქმნის გამოთქმები: *ანგელოზი გული და გაფუჭებული გული.*

თვალს ქართულში ათეულობით ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება: ტრილო-გიაში გვხვდება თვალის დადგმა/დაბჯენა/გაქცევა, თვალის გდება (თვალთვალი, ყურადღება), თვალების გირაოში ქონა.

გამოთქმა ქუსლების წიწვნას ავტორმა ფრაზეოლოგიზმის ფუნქცია, მეტაფორულობა დააკისრა და ის თვალთვალის მნიშვნელობით გამოიყენა.

სხვა სომატოზიმები: კბილის დასობა, მხრების აჩეჩვა, ენის მიტანა, ორი ყურით დაჭერა, პირში გემოს ვერ გააჩენდა; თავში ჩაინიკის მიღება (ჩარტყმა); ცხვირის წამტვრევა, თავში შეღიტინება ყურში კოდალა ყავს, ჯიბეში ყვავი გყავს, კუჭში მუმტი-კრივია გაჩაღებული..

ჯიბეში თავგების ყოლა/თამაში სიღარიბეს ნიშნავს. შდრ. ლაზური ფრაზეოლოგიზმი: *ჯიბეში თავგი ჰყავს ჩამკვდარი* (შენგელია, 2013). ანკესის გადაგდება ნიშნავს ემმაკობას, ხოლო წინასწარ განჭვრეტას გამოხატავს *იმის ჩიტი არ იყო; ცხვირის ტყაპუჭის გადმობრუნება* პირად კეთილდღეობაზე ზრუნვაა, *ჭირის პურის ჭამა - ქელები.*

ტრილოგიაში გვხვდება მოდიფიცირებული ფრაზეოლოგიზმებიც: თითქო აინუნშიაც არ იყო; გულმა არ მომცა...

გავრცობის ნიმუშებია: **ორი ყურით დაჭერა** (შდრ: ყურით დაჭერა) და **მწარე ენის მიტანა**.

აკა მორჩილამე, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, „მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში უკვე ცნობილი ქართული ფრაზეოლოგიზმების მთავარ კომპონენტებს ცვლის: **ჯიბეში ყვავი ჰყავს** (შდრ: თავი ჰყავს), **ტურას დაიჭერს** (ჩიტს დაიჭერს) ან მიმართავს კონტამინაციას: **თვალის გდება** (თვალის მიდევნება, ყურის გდება). თავის გაყოფის ნაცვლად გვაქვს **ცხვირის გაყოფა: საქმეში გამაყოფინეს ცხვირი**.

კომპონენტის შეცვლას ემატება ჰიპერბოლიზაციაც: **ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება** (ფეხზე დაკიდება).

ფრაზეოლოგიზმებს: თავში ჩაინიკის მიღება, გულ-გვამში სიცხის დავლა, ყურში კოდალა ჰყავს, მის პირში გემოს ვერ გააჩენდა, შემილიტინა თავში, თვალები გირაოში გაქ ახლავს ირონია, რაც პოსტმოდერნისტული ტექსტების მთავარი ნიშანია.

III.9. ანდაზა- აფორიზმთა სტილისტიკური ფუნქციები

მწერალი ტრილოგიაში სათქმელის ექსპრესიულად გადმოსაცემად და დამაჯერებლობის ეფექტის მისაღწევად ქმნის აფორიზმებს, მიმართავს ანდაზების ტრანსფორმაციას:

დასცინის რა მამათმავალთა ცხოვრების წესს, მწერალი ბიბლიურ მოტივებზე ქმნის ახალ გამოთქმას: „**წყალი არის ის, კაცი რომ შექმნა**“.

ქალის უპატივცემულობაა გაკიცხული შემდეგ გამოთქმაში: **ქალს უნდა მოერიო**.

წუთისოფლის ამაოება ჩანს აფორიზმში: **ცხოვრება უარია, – უარი ყველაფერს, რაც ასე გწყურია**. ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეხება გამოთქმა: **ცხოვრება როდია მათემატიკა**.

ტრილოგიაში გვხვდება საქართველოში ერთობ გავრცელებული გამოთქმა: **სანამ არ მოკვდები, არაფერს გაღირსებენ**.

მწერლისეული აფორიზმებია: **ღამით ყველა კატა შავიაო; სიყვარული ქუდი არ არი, რო დაიკარგოს** (სიყვარულის უძლეველობა)..

ყველაზე საინტერესოა მწერლისეული დაკვირვება, რაც ხელს უშლის ქვეყნის წინსვლას: ეს არის გაუმართავი საკადრო პოლიტიკა: ჩვენი ქალაქის თვისებაც ხომ ეს არის, რომ ძალიან მაგარი ვინმე ძალიან უბრალო საქმეზე ცდებოდეს, ძალიან უბრალო ვინმე კი ძალიან მაგარ საქმეებს ებლაუჭებოდეს.

აკა მორჩილაძე მწერლის დანიშნულების შესახებ წერს:– ნამდვილი წიგნი უნდა დაწერო. შენს გულში ჩაიხედე, თაღლითობას მისდევ და ნაცარს აყრი თვალებში ბნელ ხალხს. მკითხველი ხო ბნელია.

ანდაზები ტრილოგიაში ტექსტის ორგანულ ნაწილად არის ქცეული: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო; ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს...

ზოგი მათგანი ტრანსფორმირებული ანდაზაა: – აქლემი ისე არ წაიქცევა... შდრ ქართული ანდაზა: „აქლემი ისე არ დავარდება, ვირის ტვირთი არ აიკიდოსო“.

ამრიგად, აკა მორჩილაძე ტრილოგია „მადათოვში“ იყენებს მეტად საინტერესო აფორიზმებს, რომელთა საშუალებითაც გადმოგვცემს ცხოვრებისეულ მრწამსს, კრედოს და პირად დამოკიდებულებას პერსონაჟთა ცხოვრების წესისადმი.

III.10. სტილური ეკლექტიზმი

სტილთაშორისი საზღვრების დაცვა თანამედროვე სტილისტიკის აქტუალური საკითხია. აღნიშნულ საკითხს იკვლევენ მწერლის ენისა და სტილის შესწავლის დროსაც. „ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება უკავშირდება ადამიანის ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს, კომუნიკაციის მიზნებს, ტიპებს, სიტუაციებს და ა.შ.“ (კვარაცხელია, 1990).

ტექსტის სტილი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ადრესატის ასაკის, მისი განათლების, ცოდნის დონის, სოციალური სტატუსის, ინტერესთა სფეროსამებრ. პოსტმოდერნიზმის უმთავრესი სტილური ნიშანი კი სტილებისა და ჟანრების განურჩევლობაა. „მადათოვის“ ციკლის პირველი რომანი– „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული სტილისა და პუბლიცისტიკა-ესეისტიკის თავისებურებათა ნაზავია. „გაქრები მადათოვზე“ მრავალსტილიანია. „ვეშაპი მადათოვზე“ ყურადღებას იქცევს ჟანრების თამაშით, ნაკლებად, მაგრამ სტილთა მონაცვლეობა აქაც გვაქვს, მასში ჩართულია ოფიციალური სტილის ნიმუშებიც.

სიტყვა „გაქრობა“ უკავშირდება კუნძულ მადათოვს, რომელიც მდებარეობდა მდინარე მტკვარზე, თბილისში. იგი XIX საუკუნეში გენერალმა ვ. მადათოვმა შეიძინა. აქ ნაპოვნი თბილისელი მამათმავლის მკვლევლობის გამოძიების დეტალები ააშკარავენ მრავალი დაფარული საქმის კვალს. ნაწარმოებში კარგად ჩანს გაქრობასთან დაკავშირებული სევდა, ჩვენი ქვეყნის ბედის წინასწარმეტყველებაცაა.

აკა მორჩილადე ძირითადად იყენებს სასაუბრო სტილს, მაგრამ ჩაურთავს ძველ გუჯრებსაც და მიწერ-მოწერას, დაკითხვის ოქმის ამონარიდებს, სქოლიოებს, უთითებს წყაროებს. ნაწარმოებში ჩართულია ეპისტოლარული ჟანრის ორი ნიმუში. წერილს აქვე ურთავს **სქოლიოს**. ისნის ისტორიის და საგინაანთ გვარის ძველი დიდების გადმოსაცემად მწერალს პირდაპირ აქვს ჩასმული გუჯრები, რომლებიც „მოპოვებულია“ ბიბლიოთეკებში. სწორედ აქ რეალიზდება არქაული მწიგნობრული სტილი. ვხვდებით ესეისტურ ადგილებსაც. ამგვარი აზრი პოეტთა ლურჯჩოხოსნობის შესახებ ნიკო ლორთქიფანიძეს გამოუთქვამს.

„გაქრები მადათოვზე“ სრულდება ნათარგმნი ლექსით, ეს არის ედგარ პოს „ანაბელ ლიდა“, რითაც მწერალმა ორიგინალურად გადმოგვცა თავისი სათქმელი.

ნაწარმოებში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ გვაქვს ბატონი პედერსენის უბის წიგნაკი, რომელშიც პერსონაჟი იწერს ხაფოსთან სტუმრობის დროს ნანახსა და განცდილს. აქ ერთი მთლიანი თავი „ევგენი პატარიძე, ხუთშაბათ საღამოს“ არის დრამა. მასში მონაწილეობენ ილია ჭავჭავაძე, ოლღა გურამიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ხიზანაშვილი.

აკა მორჩილადის ტრილოგია „მადათოვში“ სტილთა თუ ჟანრთა ნაირგვარობა და ეკლექტიზმი რაა ხელოვნური, ის ემსახურება დამაჯერებლობის მიღწევას. ამ ხერხით მწერალი დეტალურად აღწერს თბილისის მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიით მოცულ ამბებს.

თავი IV. რიტორიკული ფიგურების სტილისტიკური ფუნქციები

დისკურსის ანალიზის დროს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სტრატეგიაა რიტორიკული ფიგურების შესწავლა (Mann and Thompson, 1988).

IV.1. შედარების სტილისტიკური ფუნქციები

მიჩნეულია, რომ თვით შემეცნების პროცესი შედარებაა. ის განუმეორებელია (Палиевский, 1962). მეტაფორული შედარების მთავარი ნიშანია ახალი შინაარსის პროდუცირება (რამიშვილი, 1963).

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში ავტორისეულსა და პერსონაჟისეულ მეტყველებაში მრავალფეროვან შედარებებს ვხვდებით.

საგნის გარეგნული ნიშნების აღწერას ემსახურება შედარებანი: ნახშირივით თვალები, ქალის იმ ნაწილებზე, რომელსაც შევადარებდით ქვესკნელს; ჩინურ ბანქოსავით გაწყობილი; ბანქოს ქალადივით აერიათ; მატარებელსავით ჩიქჩიქებდნენ; თავის ქალა ნესვივით შეათამაშოთ ხელში, გაირუმბება ურცხვი დიაკვანივითა, დაიტოტა ფლანდრიულ არხებივით; მარიამობისთვის ციებასავით ჟრჟოლამოგვრილი, ამბავი ფრჩხილის წაჭრასავით ტკივილია.

შედარებითვე გადმოცემულია შინაგანი თვისებები: ჯანმრთელობა, ერთგულება, ჩაცმულობა: ფეხზე მიბმულივით დაჰყვებოდა, კენჭივით არის, ვით კიბომოდებული ავადმყოფი.

მეტად საინტერესოა რომანის „ვეშაპი მადათოვზე“ შედარება: ის არის კონფორმისტი, დაშაქრული, ჩამბალი... ის არის, როგორც ტორტის მესამე ნაჭერი თხუთმეტ წუთში.

შედარებაში ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილია ხშირად უამრავი თვისებიდან ერთი გამოკვეთილი ნიშანი ან მოქმედება: პატივისცემა (მამა-პაპათა იარალი), ერთგულება (ფეხზე მიბმა), ცვალებადობა (გული – ადრეული ყვავილი), კონფორმიზმი (ტორტის ნაჭერი) ან კიდევ მოქმედება: ჟრჟოლა (მარიამობისთვის ციება), სიშორე (სიკვდილი), ჩაცმა (მონაზონი), სტაბილური სარგებლიანობა (ჩინური ბანქო); სინდისის ქენჯნა (ცხენის კუდზე გამობმა), უმტკივნეულობა (ფრჩხილის წაჭრა), ჯანმრთელობა (კენჭი); გაჭიმვა- ქვასროლია ბიჭი; შეთვისება (გრიპის ბაცილა); შემოხვევა (სურო), ფეხქვეშ გაგება (ხალიჩა), არევა ან დაწყობა (ბანქოს ქალადი), დახოცვა (ღორები).

შედარება უმრავლეს შემთხვევაში თანდებულიანია (ვით, ებრ), შედარებით ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც, ვითარცა).

IV.2. ეპითეტის სტილისტიკური ფუნქციები

მხატვრულ დისკურსში საგანგებოდ იკვლევენ მეტაფორულ ეპითეტს, რომელიც საგნობრივ-ფსიქიკურია და აღნიშნავს არარეალურ ნიშანს, მსგავსების მიხედვით გადატანილს სხვა საგანზე“ (Мещеряков...2003). ტრილოგიაში ყველაზე მეტი ეპითეტით დახასიათებულია პერსონაჟთა გარეგნობა: **ქალი ფრჩხილები, ქალი წვერ-ულვაში, გასივებული ცხვირი, თხელწვერა კაცები.**

ზოგან ჩანს პერსონაჟის ფიზიკური მდგომარეობა და ჩაცმულობა: **ფერდები სულ დაჩქეველი და დაბეჭილი; ტანისამოსი მტვერიანი, წყლისპირის სინოტივით ჩარბილებული; ორი ფიქრიანი, კატის თვალი.**

ეპითეტებით აღწერილია შინაგანი თვისებები: **კეთილი, ჩამრგვალებული, მიმნდობი, ნირწამხდარი; შარახვეტია, ქურდი, მკვლელი, კომუნისტი; ჭკუამოკლე, ტლუ...**

კომუნისტი და ბოლშევიკი ტრილოგია „მადათოვში“ სალანძღავი სიტყვებია.

ხაფოს დამტირებელთ ავტორი დასცინის **შაქრიანი, ნაწნავი სიტყვა-პასუხისათვის.**

მრავალფეროვან ეპითეტთა საშუალებით სათქმელი მეტად ემოციურად და შთამბეჭდავად გადმოიცემა.

IV.3. მეტაფორის სტილისტიკური ფუნქციები

ტრილოგიაში გვხვდება საინტერესო მეტაფორებიც. მათ ახასიათებს სიცხადე, სასიამოვნო სიახლე. მეტაფორულადაა დახასიათებული პერსონაჟთა გარეგნული თვისებები, ასევე ასაკი, შიმშილი, ინტიმური ურთიერთობა, განცდები, ევოლუცია, კრიტიკა და ა.შ.

ჭაღრა: ულვაშში უკვე გვარიანათ გამორეოდა თეთრი ძაფები; **ხანდაზმულობა:** ცხოვრების დაისის ახლოში სეირნობა; **ბოდმა, ბოროტება:** კუპრსა და ჭაობში ყლაპავ ბალღამს; **შიმშილი:** შესწავლა საჭმელთა სუნებით გაძლომის ხელოვნებისა. **დარდი, ვარამი, გასაჭირი:** გულებს ჩამოკიდებული სიმძიმეები უფრო ნამდვილი სიმძიმეებია...გულებს მოდებული ჟანგიანი ღუზები; **ინტიმური ურთიერთობა:** სრული ინტიმის ყურე გაუმართა; **ფორმალური პატივისცემა:** რელიგიური თაყვანისცემის ნალექის ზრდილობის კიდეზე შემორჩენა; **კრიტიკა:**

გვარიანი სამსალა მიუთავაზეს ყველას ბროლის ჭიქებით; **რეკოლუცია**: გველემპ რეკოლუციის კუდი დაეცა ტფილისს; **ადამიანის ტრანსფორმაცია**: ბერდენკით მოხდენილი გადატრიალება კაცის ფიქრში; გადატრიალება, მოხდენილი უსაზღვროდ მოდინებული განათლებით; **ძველი პოლიტიკური დაპირისპირების გაღვივება**: ძველი პოლიტიკური ბრძოლის ნაღვერდალს უბერავდა სულსა; **განთიადი**: ნათელი გასტეხავს ბნელს.

ამრიგად, აკა მორჩილაძე დარდის, ბოროტების, ინტიმური ურთიერთობის გამომხატველი მეტაფორებით ააშკარავებს ძველი და ახალი ეპოქის ხალხთა ნაკლოვანებებსა და მსოფლმხედველობას.

IV.4. ჰიპერბოლის სტილისტიკური ფუნქციები

ჰიპერბოლებით ტრილოგიაში გადმოცემულია **პერსონაჟის ფიზიკური თვისებები, სიმრავლე, ძლიერება, ავტორიტეტი**: ვერსზე ჩანდა; ბლუჯა-ბლუჯად ეყარა ბალანი; მთასავით კაცი იყო; ეს ყორღანოვი ყოფილა და ჩვენ ვერას დავაკლებთო; მოედებოდნენ ბუზებივით.

მეტად საინტერესოა ქვემოთ მოცემული ჰიპერბოლა: ოქტომბერში დამახ-სოვრებული გემოები მთელს ზამთარს გაჰყვებოდა კაცს.

ხაფოს **ძვირფასეულობით გატაცებას** ავტორი ასე გვიხატავს: თითქოს მთელი ვერცხლის ქუჩის ვერცხლეული ამას დასჭირდაო. კაი ვერცხლი იყო, მთვარესავით ანათებდა.

ჰიპერბოლიზებულია **შიმშილის** გრძნობა: ლამის აეს წაღებიც შემიჭამოს.

ჰიპერბოლის საშუალებით მწერალი პერსონაჟებისადმი სუბიექტურ, პირად დამოკიდებულებას გადმოგვცემს.

IV.5. ლიტოტესის სტილისტიკური ფუნქციები

ჰიპერბოლის საწინააღმდეგოდ, ლიტოტესის უმთავრესი ფუნქცია მანკიერების წარმოჩენა, დამცირება, გაქილიკებაა. აკა მორჩილაძე მეტწილად აკრიტიკებს მედიდურ მწერლებს (**ორშაურა კალმისკაცები**), ამორალური ქცევის ქალებს (**ორშაურა მეძავეები**), უღირს ჩინოვნიკებს (**ქაღალდის ჭიები**) ამზეურებს მათს ცუდ ქმედებებს და თვისებებს.

საკუთარი თავმდაბლობაც ლიტოტესითაა გადმოცემული: „გაქრები მადათოვზე“ მთავრდება აღმოსავლური ბოდშით, სადაც ავტორი თავის თავს ბალდადური ქოშების მტვერს უწოდებს.

ვიწრო სახლი საქათმესავით სახლია, ყორღანოვის სიმაღლე კი არშინი და სამი ვერშოკია.

IV.6. პერიფრაზის სტილისტიკური ფუნქციები

საინტერესოა ტრილოგია „მადათოვისეული“ პერიფრაზებიც, საგნის ან მოვლენის ხატოვანი დახასიათება“ (Ефимов, 1969); ანუ „სხვაგვარად თქმის საშუალება“ (Гальперин, 1958).

ტივი წყლის ციციანთელაა, სასმელი -იაფი ხალხის იაფი ბანგი, უსაქმური ადამიანი- საბძლის ლოთი, დაბნეულობა გენიოსთა სულის ხითხითია. არატრადიციული ორიენტაციის ხალხს, რომლებიც ხაფოს გასვენებაზე შეკრებილიყვნენ, მწერალი მეკურტუმე ნახირს უწოდებს.

ამრიგად, ტრილოგიაში პერიფრაზით გადმოცემულია ადამიანის თვისებები, ცხოვრების წესი.

IV.7. პაროდის სტილისტიკური ფუნქციები

ტრადიციული ლიტერატურისაგან განსხვავებით, პოსტმოდერნიზმში პაროდია ახალი ფუნქციით აღიჭურვება. ეს ართობს და ახალისებს მკითხველს.

აკა მორჩილაძე წერს: „... სიცილი, გამორჩევით კი მწარე, დიდად უწყობს ხელს ადამიანის გადარჩენას (იმნაიშვილი, 2010).

დაცინვა ჩანს ტრილოგიის დასაწყისშივე: კინტო იყო ისე ალაღად მწუხარი...**ღმერთმა ყველას აშოროსო.**

საინტერესოა ფირანას დახასიათება: **გაბუმბლული ურჩხული ნაგაზის შვილი ფირანა, წითელ, სემაფორსავით გამონათებულ თვალებით.**

ან კიდევ: **გაბუმბლული, თვალებწითელი ურუმული ნაგაზი და კაპიტნათ დაბერებული უბედური თავადიშვილი.**

მწერალი დასცინის ხაფოს და ფინდლა ფირუზას გარეგნობას: **ერთი ცხენის დალალს ჰგავდა, მეორე – ღორისას.**

ხაფოს წვერი მურით მოხატულ უცხო ანბანის ნაწერსა ჰგავდა.

ავტორი სიმდიდრის სიყვარულს დასცინის, როცა გვიხატავს პერსონაჟის ბრჭყვიალა ჯინჯილებს, ბრჭყვიალა ფუშფუშებს, ბრჭყვიალა ლამპასებს ლურჯ გალიფეზე.

მწერალი აქილიკებს ფინდლა ფირუზას საქმიანობასაც: სოვდაგრობა ჰგავდა თოკზე მობმულ ბურთულის ტრიალს.

დასცინის რა ფინდლა ფირუზას სკაბრეზულ ლექსიკას, მოიხსენიებს მას ეპითეტებით: დაიკარგა ფირუზას რვეული სკაბრეზიისა, რაც იყო განუმეორებელი და ნატიფი.

უსუფთაობის პაროდირებაა: თმა ისე გასქელებოდა, თითქო თავის დღეში არც წყალი მოჰხვედრიაო და არც სავარცხელი.

ამორალიზმის პაროდირებაა შემდეგი: ქალს საპოშკებზეც ეტყობოდა, კარგად მოიხმარდა საზოგადო საქმესთან პირადი ჭიდილისას. ბორდელი „ოჯახური ყურეა, „ტურფა მხარეა“.

აკა მორჩილაძე აკრიტიკებს და დასცინის სამღვდლო პირებსა და უმეცარ მწერლებსაც: თავისსავე ანაფორაში გახლდათ საძებარი; ვინმე ბწკარს დასწერს, უთუოდ სახელმწიფოს უნდა გაჰკრას ხელი; ის იყო იაფ წიგნების განთქმული ავტორი, მისი წიგნები ალაგ-ლაგ სჩანდა. ემილ ზოლას პროზას ტალახიანს უწოდებს.

საინტერესოა თვითთრონიაც: მე იშმაილს მეძახიან. ვწერ და ვწერ ერთგვარი ღირსების წიგნაკებს, რომლებსაც ბაზრის მოედანზეც კი ყიდიან მარწყვის და კვახის ნოქრები; მე იმ წიგნაკებსა ვწერ, რომლის შინაარსსაც ტაქსის მძღოლებს უყვება ხოლმე მთვრალი კაცი.

ავტორი, რომელიც ამავე დროს პერსონაჟია, აკრიტიკებს თავისი ცხოვრების წესსაც: ის ჩვენი ძველი დივანი ისეთივე უბერებელია, როგორც გული პოეტისა. მივეგდები ზედა, როგორც ძველი რომაელი ვინმე ლუკულუსი... რომელზედაც მძინარეს ცხვირ-პირი მიმიდვია.

შევისწორებ ბორსალინოს შლაპას ამ გასიებულ თავზე...

პაროდირების მიზანია მწერლის, როგორც თანავტორისა და პერსონაჟის, დამოკიდებულების გამოხატვა მანკიერი მოვლენებისადმი: ამორალურობის,

ვერცხლისმოყვარეობის, სიზარმაცის, უსუფთაობის და ა.შ. პაროდირება. რაოდენობრივი კვლევით გამოვლინდა, რომ ტრილოგიის მხატვრულ სტილს სწორედ პაროდია ქმნის. ავტორი ხშირად იყენებს შედარებას, ეპითეტს, შემდეგ მოდის ლიტოტესი, მეტაფორა, ჰიპერბოლა და პერიფრაზი.

დასკვნები

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობები ქმნის ერთ მთლიან პერფორმატივს. ნაწარმოებში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ გადმოცემულია XIX საუკუნის თბილისის დეტექტივები. „გაქრები მადათოვზე“ XX საუკუნის დასაწყისში კუნძულ „მადათოვის“ გაქრობას გადმოგვცემს, რითაც ტრილოგიის იდეაა გაცხადებული. მესამე წიგნის – „ვეშაპი მადათოვზე“ ფინალში მკითხველი აცნობიერებს, რომ მწერლის მიერ შექმნილი რეალობა ვირტუალურია. ძველი და ახალი თბილისის ენობრივი, კულტურული თუ სოციალური ტენდენციების ახლებური გადაკითხვით მწერალმა სრულიად ახალი რეალობა მოგვცა და სულიერი დეგრადირების გზაზე მყოფი ქვეყანა დაგვიხატა.

ტრილოგიაში ჩანს ზოგადად ქართული პოსტმოდერნისტული დისკურსის თავისებურებანიც, აკა მორჩილადის ნარატივის სპეციფიკაც და მწერლის, როგორც ფილოლოგის, დამოკიდებულებაც ცალკეული ენობრივი მოვლენისადმი. ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება სალიტერატურო, ძველი და ახალი, ასევე დიალექტური და სასაუბრო სტილის ფორმები. ფორმათა სიჭრელე თავისთავად ეხება სხვადასხვა თუ ერთი და იმავე პერსონაჟის, ასევე ავტორის მეტყველებასაც. ხშირია შემთხვევა, რომელი ეპოქის და რომელი სოციალური წრის პერსონაჟზეც წერს ავტორი, იმგვარ ფორმებს იყენებს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს წესი უგამონაკლისოა. ხშირად ავტორი ერთსა და იმავე წინადადებაში ან ახლო კონტექსტში იყენებს ნაირგვარ ფორმებს. ორმაგი კოდირებით აკა მორჩილამე ფაქტობრივად ენობრივ კარნავალს გვთავაზობს.

ტრილოგიის ფონეტიკურ თავისებურებებს განსაზღვრავს ცოცხალი მეტყველება, სადაც ჩანს უცხოურ ენათა გავლენაც. მორფოლოგიურ თავისებურებებსაც სასაუბრო სტილის დომინანტობა განსაზღვრავს, იშვიათად გვაქვს არქაიზაციის ტენდენცია, იშვიათად გვხვდება ავტორისეული

ინდივიდუალიზმის ნიმუშებიც. სინტაქსურ თავისებურებებში მეტად ჩანს არქაული ფორმები.

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობებში ჩანს სამეტყველო კოდების (ქართული და რუსული ძირითადად, ქართული და გერმანული, ქართული და ინგლისური კი – იშვიათად) ცვლა. დომინანტი ქართული ენობრივი კოდია, მაგრამ ხშირია მასში რუსული ენის სამეტყველო კოდების შერევა, გაუცნობიერებელი გადართვა. ავტორის მიზანია თბილისური მეტყველების სიჭრელის ჩვენება.

„მადათოვის“ დისკურსს საფუძვლად ედება ქალაქური მეტყველება, რომელშიც უხვადაა არანორმატიული ლექსიკა: პროცენტულად ყველაზე მეტი წილი უკავია ბარბარიზმს, შემდეგ მოდის ჟარგონი, სკაბრეზი, დისფემიზმი, ნაკლებად გამოიყენება ლექსიკური დიალექტიზმი და არქაიზმი.

ბარბარიზმთაგან გამოკვეთილია რუსიციზმების სიჭარბე. გვხვდება აღმოსავლურ ენათაგან ზეპირი გზით შემოსული სხვა სიტყვებიც. ბარბარიზმები გამოიყენება როგორც პერსონაჟის, ისე ავტორის მეტყველებაში.

ხშირად გვხვდება ქართული, შედარებით ნაკლებად თურქული, საკმაოდ ხშირად კი რუსული ან რუსულის გზით შემოჭრილი ჟარგონები. ეს გვიჩვენებს რუსული ჟარგონის გავრცელებულობასა და ლექსიკის გაღარიბებას. ჟარგონებით ავტორიც მეტყველებს.

„მადათოვის“ ციკლის მოთხრობების დისკურსში საგანგებო ადგილი უჭირავს ფრაზეოლოგიზმებს. როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი, მიმართავს მათს მოდიფიკაციასაც: **საქმეში ცხვირის გაყოფა** (შდრ: თავის გაყოფა); **ჯიბეში ყვავი ჰყავს** (შდრ: თავი ჰყავს); **თვალის გდება** (შდრ: ყურის გდება); **კაი ტურას დაიჭერ** (შდრ: კაი ჩიტს დაიჭერ). საინტერესოა, რომ კომპონენტის შეცვლას ემატება ჰიპერბოლიზაციაც: **ბატინკების ჭვინტებზე დაკიდება** (ფეხზე დაკიდება).

ამ მოთხრობების პოპულარულობა ძირითადად შეპირობებულია ლექსიკური თავისებურებებითა და ფუნქციურ სტილთა/ჟანრთა ეკლექტიზმით. აკა მორჩილამე, მართალია, ეყრდნობა სასაუბრო სტილს, მაგრამ მუდმივად თამაშობს სტილებით. ეს ხელოვნური კი არაა, პირიქით, დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევას, პერსონაჟთა ტიპიზაციას, შავზნელი ეპოქის სრულყოფილად დახასიათებას ემსახურება.

ტაბუდადებულ თემებზე საწერად ეს ავტორის მიერ შერჩეული საუკეთესო სტრატეგიაა.

მეტად საინტერესოა მწერლის პაროდიული დამოკიდებულება საკუთარი თავისა და პერსონაჟების მიმართ. აკა მორჩილაძე დასცინის სამღვდლო პირებსა და უმეცარ მწერლებს, გმობს ამორალიზმს.

სოციოკულტურულმა გარემომ განაპირობა ის, რომ ტრილოგია „მადათოვში“ ვულგარიზაცია ჭარბობს ესთეტიზმს, პაროდია – იუმორს.

აკა მორჩილაძე რიტორიკული ფიგურების გამოყენებით ააშკარავებს გარეგნულ თუ შინაგან თვისებებს, ადამიანურ ნაკლოვანებებსა და მსოფლმხედველობას.

რიტორიკულ ფიგურათაგან „მადათოვის“ ციკლის მოთხრობების სტილს ქმნის შედარებანი, რომლებიც ძირითადად საგნის გარეგნული და შინაგანი ნიშნების აღწერას, მოქმედების, მოძრაობის დახასიათებას ემსახურება.

მეტაფორულადაა დახასიათებული პერსონაჟთა გარეგნული თვისებები, ასაკი, შიმშილი, ინტიმური ურთიერთობა, მანკიერებანი, ადამიანის განცდები, ევოლუცია და ა.შ.

ამრიგად, აკა მორჩილაძის „მადათოვის“ ციკლის მოთხრობების დისკურსი არამარტო ენობრივი, არამედ ფართო სოციოკულტურული ფენომენია. ტრილოგიაში შემავალი მოთხრობების ენობრივი, ლექსიკური და მხატვრული თავისებურებანი მთლიანად დისკურსულად არის მოტივირებული და უკავშირდება ავტორის პრაგმატიკულ ინტენციას.

ტრილოგია „მადათოვის“ შესწავლა საინტერესოა არამარტო ლინგვისტიკისა და სტილისტიკის, არამედ პრაგმატიკის, ფსიქო- და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით. იგი კარგ საფუძველს ქმნის გენდერული კვლევებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ავალიანი ლ., „გამოთხოვება ძველ თბილისთან ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე“, ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, №22, თბილისი. 2002;

ამფიბიადი დ., „დიალექტის საკითხი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის უახლესი თარგმანები“, ინტერნეტგაზეთი „maststavlebeli.ge“, 23. 05. 2018;

<http://mastsavlebeli.ge/?p=18083>

ანდრონიკაშვილი მ., „არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში“, თსუ-ს შრომები, ტ.105, თბილისი. 1965;

არაბული ა., „ქართული მეტყველების კულტურა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2008;

არისტოტელე, „რიტორიკა“, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ. რედაქტორი აკაკი ურუშაძე, თბილისი. 1981;

გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2008;

გვენცაძე ალ., „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“, თბილისი. 1974;

გრიშაშვილი ი., „ქალაქური ლექსიკონი“, გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი. 1997;

გოგოლაშვილი ნ., შარაშენიძე ნ., ცოცანიძე გ., ჭუმბურიძე ნ., „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები“, თბილისი. 2016;

გოგოლაშვილი ნ., „მალედიქტოლოგიური დისკურსის ლექსიკოგრაფიული პრობლემა“, სიმპოზიუმის მასალები, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი. 2012. <http://www.ice.ge/new/batumi/Batumi-2012.pdf>

დობტურიშვილი მ., „კულტურული პარადიგმები და დისკურსის ტიპოლოგია“, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, ფილოლოგიური სერია 1, თბილისი. 2004;

ზანდუკელი მ., „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, თბილისი. 1960;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1986;

თანდაშვილი მ., „ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკულინგვისტიკაში)“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი. 2016;

თევდორაძე ნ., „ტექსტის ლინგვისტიკა“, თბილისი. 2011;

იმნაიშვილი ა., „XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული

პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები“, ჟურნალი „სემიოტიკა“. № 7, თბილისი. 2010; <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/15/>

იმნაიშვილი ა., „შეხვედრა აკა მორჩილაძესთან“, გაზეთი „კალმასობა“ №1, თბილისი. 2001;

იმნაიშვილი ივ., იმნაიშვილი ვ., „ზმნა ძველ ქართულში“, მაინის ფრანკფურტი. 1996;

კუხალაშვილი მ., ლომთაძე თ., მიქაძე მ., რუსაძე ი., ქაცარავა მ., ფხაკაძე ნ., „თანამედროვე ქართული ენა (პრაქტიკული სტილისტიკა)“, ქუთაისი. 2010;

კაჭკაჭიშვილი-ბერიძე მ., „დიალექტი და თანამედროვე ენა“, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი. 2016;

კვარაცხელია გ., „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1990;

ლადარია ნ., „სოციოლინგვისტიკა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 2002;

<http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/sociolingvistika.pdf>

„ლიტერატურის თეორიის საფუძვლები“, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი. 1995;

ლომთაძე თ., „თანამედროვე ქართული სოციოლექტები“, თბილისი. 2010;

ლომიძე გ., „პოსტსაბჭოთა ქართული ლიტერატურა კულტურული გლობალიზაციის პირისპირ“, წიგნში: ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, თბილისი. 2016;

მირცხულავა ლ., „XX საუკუნის 80-იანი წლების წლების ქართული პოსტმოდერნისტული პროზის თავისებურებანი“, ჟურნალი „კულტურათმშორისი კომუნიკაციები“ №10, თბილისი. 2009;

მორჩილაძე ა., „მადათოვი“, ტრილოგია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი. 2011;

მშვენიერაძე თ., „დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში“, დისერტაცია, თბილისი. 2014;

ომიაძე ს., „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, დისერტაცია, თბილისი. 2006

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000336/Omiadze%20S.pdf>

ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, მოამზადა ილია აბულაძემ [რედ.: ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე]; სმა, ხელნაწერთა ინსტიტუტი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი. 1991.

ჟღენტი ს., „ქართული ენის ფონეტიკა“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1956;

რამიშვილი დ. „მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“, სმა გამომცემლობა, თბილისი. 1963;

სახოკია თ., „ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი. 1979;

სვანი მ., „მედიადისკურსის კონტრასტული ანალიზი (ბრიტანული და ქართული პრესის ახალი ამბების მიხედვით)“, დისერტაცია, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი. 2017;

სვანიძე ნ., „პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტურ პროზაში“, სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი. 2017;

ფონიავა ნ., „გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში“, XXXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები (ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს), თბილისი. 2011;

ქურდაძე რ., „ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულ ჟარგონში“, „წახნაგი“, ფილოლოგიურ კვლევათა კრებული, თბილისი. 2009;

ქურდაძე რ., „თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2012;

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/ramaz%20kurdadze%20tanamedrove.pdf

დლონტი ალ., „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1974;

შალამბერიძე გ., „ქართული მართლწერა“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1984;

შანიძე ა., „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, ტომი III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 1980;

შენგელია ე., „სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ჯგუფი მეგრულ იდიომატურ გამოთქმებში“, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი. 2013;

შენგელია ვ., „გერიმ გემახვენჯი“, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი. 2013;

ჩიქობავა არნ., „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, თბილისი. 1938;

ცეცხლაძე ნ., „ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები“, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი. 2018;

ცეცხლაძე ნ., „გულ’ კომპონენტთან ფრაზეოლოგიზმები ქართულში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები II. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი. 2017; <http://science.org.ge/newsite/ajara/ajara-works-2.pdf>

ცეცხლაძე ნ., „ინდივიდუალურ-საავტორო ფრაზეოლოგიზმები მხატვრულ დისკურსში“, II საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესის მასალები, სტამბა, თბილისი. 2018;

ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., „სტილისტიკა“, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი. 2014;

ცეცხლაძე თ., „ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი აკადემიკოსის რომანში გაქრები მადათოვზე“, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №23, ქუთაისი. 2020;

ჭილაია ა., ჭილაია რ., „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, თბილისი. 1984;

ჯორბენაძე ბ., „ენა და კულტურა“, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი. 1997;

ჯორბენაძე ბ., „ქართული დიალექტოლოგია“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1989.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

Fairclough N., The Discourse of New Labour: critical discourse analysis. In: Wetherall, M., Taylor, S., Yates, S. (eds.) Discourse as data. A guide for analysis. Sage/Open University. pp. 229-266. London. 2001;

Mann, W. and Thompson S., Rhetorical structure theory: Toward a functional theory of text organization. 1988.

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე

Busse D. Teubert W. Linguistische Diskursanalyse: neue Perspektiven. Springer. 2013.

გამოყენებული ლიტერატურა ფრანგულ ენაზე:

Baylon, C., Sociolinguistique, société, langue et discours. Paris, Nathan. 1996;

Benveniste E., Problème de linguistique générale. 1. Editions Gallimard. Paris. 1966;

Mainueneau D., Les termes clés de l'analyse du discours. Paris, Seuil. 1996;

Todorov T., Bakhtine M. Le principe dialogique, suivi de Ecrits du Cercle de Bakhtine. Paris. 1981.

გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე:

Арутюнова Н.Д., Язык и мир человека, Москва. 1999;

Античные теории языка и стиля, Москва. 1936;

Баранов Х. К., Арабско-русский словарь, Москва. 1989;

Бенвенист Э., Общая лингвистика, Москва. 1974;

Валеева Н.Г., Билингвизм и интерференция при опосредованной коммуникации, Вестник РУДН, серия Вопросы образования: языки и специальность, № 5 Москва. 2008;

Гальперин И. Р., Очерки по стилистике английского языка, Москва. 1958;

Дейк Ван Т.А. Язык. Познание. Коммуникация, Москва. 1989;

Джеймисон А., http://www.ruthenia.ru/logos/number/2000_4/10.htm;

Ефимов А. И., Стилистика русского языка, Москва. 1969;

Караулов Ю., Русский язык и языковая личность, Publisher house Наука, 1987;

https://books.google.com/books/about/Русский_язык_и_языков.html

Кибрик А.А., Анализ дискурса в когнитивной перспективе, Москва. 2003;

Мещеряков В. П., Козлов А. С., Кубарева Н. П., Сербул М. Н., Основы Литературоведения. Под общей редакцией В. П. Мещерякова. Учебник для вузов Москва. 2003;

Палиевский П., Внутренняя структура образа, в кн. Теория литературы II., Москва. 1962;

Уланова С.Б., От грамматической семантики к грамматике дискурса, Вестник РУДН, серия: Лингвистика, Москва. 2017; <https://cyberleninka.ru/article/n/ot-grammaticheskoy-semantiki-k-grammatike-diskursa>

Шейгал Е.И., Семиотика политического дискурса, Москва. 2004.

ლექსიკონები

აბულაძე ი., „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი. 1973;

ბრეგაძე ლ., „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი. 2005; <http://indigo.com.ge/articles/people/levan-bregaze>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <http://ena.ge/explanatory-online>

დიდი ქართული დიალექტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (corpora.co); <http://corpora.co/#/corpus>

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 3 ტომად, შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. I-ლი გამოცემა, გამომცემლობა ფანტაზია. თბილისი. 2006;

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=19540>

ჭაბაშვილი მ., „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1989; <http://online.fliphtml5.com/ddey/pbco/#p=552>

ჯავახური ლექსიკონი, გიორგი ზედგინიძე, რედ. ვლადიმერ ზედგინიძე, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი. 2014;

ენის მოდელირების ასოციაცია, განმარტებითი ლექსიკონი <http://ena.ge/explanatory-online>

ინტერნეტრესურსები

ბერეკაშვილი თ. (აგვისტო, 2010). „პოსტმოდერნიზმი და მასობრივი კულტურა“.

მოძიებულია 26 აგვისტო, 2018, <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/13/>

ზურდული ი. „პოსტმოდერნიზმის ზოგადკულტურული პარადიგმა პატრიკ

ზიუსკინდის ნარატივში“, 2007 [http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-)

[00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-)

[about---00-3-1-00-0](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0)

<http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkit>

[xvelebi/davit%20paichadze/4.html](http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkitxvelebi/davit%20paichadze/4.html) (მოძიებულია 24.01.2020)

ბიბლია, პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ;

<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/efeselta>

ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსული ლექსიკონი, 2001.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>

მორჩილაძე ა., „ჰემერჰედი, ცოტა რამ პოს შესახებ“, თბილისი. 2009 <http://arilimag.ge>.

(მოძიებულია 20.10.2019);

პაიჭაძე დ., მიმდინარე ქართული ლიტერატურა

<http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkit>

[xvelebi/davit%20paichadze/davitindex.html](http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkitxvelebi/davit%20paichadze/davitindex.html)

ტრაპაიძე ნ., „ვერაგობა და/თუ სიყვარული (წინასიტყვაობა დათო ზარბაქაძის ესეს გერმანული გამოცემისთვის)“, თბილისი. 2012.

<https://semioticsjournal.wordpress.com/2012/04/24/>.

ჯავახიშვილი მ., „ენა მწერლის უმთავრესი იარაღია“, არტინფო, 2018 (მოძიებულია

24.01. 2019, [https://artinfo.ge/2018/11/mikheil-javakhishvili-ena-mtserlis-umthavresi-](https://artinfo.ge/2018/11/mikheil-javakhishvili-ena-mtserlis-umthavresi-iaraghia)

[iaraghia](https://artinfo.ge/2018/11/mikheil-javakhishvili-ena-mtserlis-umthavresi-iaraghia).

Хассан И., К. „Концепции постмодернизма“, 2017.

<http://culturolog.ru/content/view/2765/68/>(მოძიებულია 24.01.2019).

